წელიწადი 1-ლი

ტელეფონი № 76.

ხუთშაბათი 1 ივნისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი-რად: 15 მან.
ნახევარი წლით 8 მან.
თვიურათ 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნომერი შვიდი კაპ.
ღლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.
რედაქცია და კანტორა [illegible]

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე [illegible]
ღირს 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ [illegible]
2 სათ. 5 მ.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 42 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 42

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა

ივნისის 4, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

**1. საპროგრამო საკითხები:**

ა. საქართველოს ავტონომია.
ბ. საქართველოს ტერიტორია.
გ. საქართველოს ფინანსები.
დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.
ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

**2. სატაქტიკო საკითხები.**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.
ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.
ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

**3. საორგანიზაციო საკითხები:**

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.
ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.
კ. პარტიული პრესა.
ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივ წევრთა საერთო კრებაზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩევს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

---

მღვდელი ნესტორ იოსების ძე გიორგაძე და პელაგია დავითის ასული შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას საყვარელი მათი შვილის, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფის.

ვ ა ს ი კ ო ს ა ს.

პანაშვიდი 31 მაისს საღამოს 6 საათზე, პოლიციის ქუჩა, საკუთარი სახლი, დაკრძალვა ხუთშაბათს, 1 ივნისს საღამოს 5 საათზე საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

## ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთების გზავნა.

---

ელექტრო „რ ა დ ი უ მ“ თეატრი

ორშაბათიდან 29 მაისიდან ახალი საუცხოვო პროგრამა

გ რ ი შ კ ა რ ა ს პ უ ტ ი ნ ი ს

სიკვდილი დრამა 4 ნაწ. 1 სერია. 1 ნაწ. ცოდვის ჩადენა. 2 ნაწ. უბიწოების ნიღაბის ქვეშ. 3 ნაწ. ის, რაზედაც სდუმან. 4 ნაწ. გამცემის სიკვდილი.
კომედია 2 მოქ. — **შეიკრიბეთ ქალებო!** — კომედია 2 მოქ.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

---

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

31 მაისიდან 1917 წ. ნაჩვენები იქნება კოლოსალური პროგრამა

— კ ა რ ი ე რ ა —

გაქცეული კატორღელისა

დრამა 5 ნაწ. იდა ტალისა და ალბერტ კოლოს მონაწ.

**ანონსი:** 2 ივნისიდან ნაჩვენები იქნება ახალი მეტად საგულისხმიერო სურათი

**ცოდვების წიაღში**

მხატვრული დრამა 6 ნაწ. მონაწ. უმთავრეს როლში **ესფერი სოკოლოვსკი** და მსახიობი ალბერტ კოლოსი

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრის განყოფილება!

---

კვირას 4 ივნისს 1917 წ.,
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების
სასარგებლოდ ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართება

დ ი დ ი ს ა ხ ა ლ ხ ო ს ე ი რ ნ ო ბ ა

ლატარია-ალეგრით და სხვა გასართობებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი დღისით 4 საათზე, შესასვლელი ფასი დიდებისათვის 50 კაპ. მოწაფეთა პატარეებისათვის 30 კაპ.

---

# დ ღ ე ს:

**წერილები:**

ტრ. ჯაფარიძე—სკოლის განახლება.
გლეხი—რა ჰსურს ქართველ ერს?
„საქართვ.“—კერენსკის მუქარა.
რეს--საერთო მიმოხილვის მაგიერ.
თავისუფალი სვანი--ვინ მიიყვანა 1853 წელს 7 თავ. სვან. მთავ. მართებ. ვორონცოვთან.
მ. ფარცვანია—საქონლის ჭირი და მასთან ბრძოლა.
მ. ბუაჩიძე—რა უშველის ქართველ ხალხს?
ი. საჩინოული—ხმა სოფლიდან.
ქართული პრესა

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. რუსეთი. უცხოეთი. მსოფლიო ომი. უკანასკნელი ამბები. ჩხენკელის მოხსენება. ეროვნულ კითხვაზე. ეროვნული კითხვა. რუსეთი. სპორტი და სანახაობა. ახალი ამბავი.

---

სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ქუიმოვეპისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



ხუთშაბათს 1 ივანობისთვეს 1917 წ. გაიმართება გრანდიოზული სასპორტო ატლეტიური წარმოდგენა, რომელიც შესდგება; საუკეთესო ცირკის რეპერტუარისაგან. უკანასკნელი გასტროლი

უძარღვო კაცისა
კრისტის

ახალგაზრდა ქალის ქონგრელის ქენიასი წარმოდგენაში მონაწ. მთელი ცირკის დასი. დღეს 3 საინტერესო ჭიდაობა 1 წყვილი წითელი ზირბადოსანი და ქალი რიურიკი. 2 წყვილი. ძალა ტეხნიკის წინაამდეგ ქალი რომანოვისა და ქალი ანატემა 3 წყვილი ქალი სულეიმანი და ქალი სიბირიაჩკა. დასაწყისი წარმოდგენის საღამოის, 8 ნახევარ საათზე ჭიდაობის დასაწყისი 10 საათზე.

ანონსი. მზადდება გრანდიოზული ბენეფისი გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

5 კ ლ ი კ ე ტ ი

---

ამით ვაუწყებთ ქუთაისის საზოგადოებას რომ ქვემოთ მოხსენებულ ბანკებში პირველ ივნისიდან—პირველ სექტემბრამდე ოპერაციები იწარმოებს დილის 9 საათ.— შუადღის 1 საათამდე.

აზოვ-დონის კომერციული ბანკი,
ვოლგა-კამის კომერციული ბანკი,
კავკასიის ბანკი და
ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება,

2-1

---

## სკოლის განახლება.

ძველი რომ დაინგრევა და ნანგრევიც განიავდება, ამაში ეჭვი არა გვაქვს, მაგრამ ამ ნანგრევებზე რა აშენდება—ის გვაინტერესებს და ჩვენი ყურადღებაც სწორეთ აქეთ უნდა იყოს მიქცეული. ჩვენი ცხოვრების ყოველი მხარე უნდა შეიცვალოს, ყველაფერი უნდა განახლდეს ახალ ცხოვრებას ყველგან ცხოველმყოფელი სული თავისუფლებისა და სალი შემოქმედებისა ქვაკუთხედ უნდა დაედვას. ყველაფერი უნდა გარდიქმნას ისე, რომ ბნელი წარსული ერთხელ და საბოლოვოდ გაიბნეს. სწორედ ძირითადი განახლების ხანაა და ამიტომ დღეს ან ყველაფერი უნდა შეიცვალოს, ან არაფერი. არსებითი განახლება სახელმწიფოს სხეულისა დღეს უნდა მოხდეს: ან დღეს ან არასოდეს. აი ასეთი თვალსაზრისით მივიდეთ ყოველ კუთხეში და ასეთი რწმენით დაუდვათ საფუძველი ახალ შენობას. სხვათა შორის ასე უნდა გარდავქმნათ **სკოლა**, რომელიც არსებობდა, მაგრამ ვაი იმ არსებობას.

მთელს რუსეთში და კერძოთ საქართველოში სკოლა იმდენათ დასნეულებული იყო, რომ რევოლუციის ხანამდიც კი ვაპირებდით მის ძირით-დ განახლებას, ძველი მთავრობაც კი ცდილობდა სკოლა გაეუმჯობესებია—და აი ამ ნიადაგზე ქართული სკოლა უწინაც ბევრ საიმედოს ელოდა. კერძო სკოლებში სამშობლო ენაზე სწავლება უკვე იწყებოდა, ასე რომ დღეს სკოლის ძირითადი განახლება არა თუ მოსალოდნელი, აუცილებელიც არის.

სკოლის განახლების გარშემო დღეს ბევრი რამ გვესმის, უმეტესად ლაპარაკობენ **ნაზიონალიზაციაზე**; სკოლა უნდა იქნეს ქართული, სკოლაში სწავლა უნდა სწარმოებდეს ქართულ ენაზე, სკოლაში ქართული სული უნდა ტრიალობდეს—ერთი სიტყვით ნამდვილი **ეროვნული სკოლა** უნდა გვქონდეს.

ეს მითქმა მოთქმა დიდ აღტაცებას იწვევს, რაც ადვილი წარმოსადგენია ყოველი ქართველი მოქალაქისთვის, პედაგოგიც რომ არ იყოს იგი. ყოველ ერს რომ თავისი ეროვნული სკოლა უნდა ჰქონდეს— ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და ამისი მტკიცება მხოლოდ იქ არის საჭირო, სადაც ბარბაროსობის ხანა არ დასრულებულა.

ეროვნული სკოლა ბუნებრივი მოვლენაა და ამისი არსებობა იმდენად ჩვეულებრივია, რომ ბედნიერებად არავის არ მიაჩნია.

ჩვენ თუ ეროვნული სკოლის გაჩენა ძლიერ გვიხარია და მას აღტაცებით ვეგებებით, ეს მიტომ, რომ ჩვენ დაჩაგრულებულნი ვიყავით, ის რაც სხვისთვის ჩვეულებრივ საკუთრებას შეადგენდა, ჩვენ ოცნებაში გვესახებოდა. მე კარგად მესმის ჩვენი საზოგადოების სულიერი განწყობილება: ჩვენ საზოგადოებას ყველაფერი წართმეული ჰქონდა, მას სხვათა შორის ეროვნული სკოლაც ენატრებოდა, როდესაც ეს ნატვრა შეუსრულდა ის გახარდა. ეს სიხარული ადვილი გასაგებია და მე სრულებითაც არ მინდა ეს სიხარული გავაქარწყლო. მე მინდა მხოლოდ ისა ვსთქვა, რომ ეროვნული სკოლა თავისთავათ ბედნიერებად არავის მოეჩვენოს; ეროვნული სკოლის შექმნით გახარებულ მოქალაქეს არ ეგონოს, რომ სკოლა ამით უმაღლეს წერტილს მისწვდება და სამოთხის წყაროდ გარდაიქცევა. სრულებითაც არა. ასე რომ იყოს სხვა ერები ახლა დიდი ხნის ბედნიერები იქნებოდენ, თვით რუსეთი ეროვნული სკოლით დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ ამან განა უშველა და განსაცდელისაგან დაიხსნა? ეროვნულმა სკოლამ რუსეთს განა საიმედო მოქალაქეები აღუზარდა?

ეროვნული ხასიათი ერთი არსებითი მხარეა სკოლისა, მაგრამ ამით მისი შინაარსი და მაღალი დანიშნულება სავსებით არ ამოიწურება. სკოლა უნდა იყოს ეროვნული, მაგრამ ეს სრულებითაც არ კმარა იმისათვის, რომ სკოლამ კარგი მოქალაქე აგვიზარდოს. ეროვნულ სკოლაში ნასწავლი ხშირად უვარგისი და უნაყოფო მოქალაქე რჩება. ეროვნულ ნიადაგზე სწავლა-აღზრდის მოწყობა განათლების საქმეს აადვილებს, თვით სამშობლო ენის მდგომარეობას აუმჯობესებს და მოსწავლესაც სამშობლო ქვეყანას აახლოვებს. ეროვნული სკოლა დიდად უწყობს ხელს მოსწავლეს, რომ მან საკმაოდ გამოარკვიოს თვითცნობიერება და სამშობლოს სიყვარული გაიღრმავოს. ყოველი ღირსება, რაც კი აქვს ეროვნულ სკოლას საზოგადოთ, ექნება ჩვენ სკოლასაც, ამით ბევრი დღევანდელი ნაკლი გასწორდება; ეროვნული სკოლა უნდა გვექნეს და კიდევაც მოვაწყობთ, მაგრამ ამით ნუ დავკმაყოფილდებით და ამაზე ნუ გავჩერდებით. ეროვნულ ნიადაგზე უნდა მოვაწყოთ ისეთი სკოლა, რომელსაც ექნება სალი პედაგოგიური წესწყობილება, სადაც სკოლის მიზანიც ნათლად იქნება დასახული და მის განსახორციელებლად ჯეროვანი საშუალებანიც მიღებული. განახლებული სკოლა ეროვნული უნდა იქნეს, მაგრამ მარტო ეროვნებას არ უნდა ემსახუროს. დღევანდელ ჩვენ სკოლას ბევრი რამ აკლია და ეროვნული სკოლის დაარსება ჩვენ ვერ გვიშველის. ჩვენ ბევრი რამ გვჭირდება და მარტო გაქართულებული სკოლა ვერ დაგვაკმაყოფილებს. რას მოვითხოვთ დღევანდელი სკოლისაგან? რა ნაკლი უფრო აფერხებს სწავლა აღზრდის საქმეს ჩვენში? აი ეს უნდა გავითვალისწინოთ და ახალი სკოლის ტიპი ისე შევიმუშავოთ. ნაციონალიზაციით უნდა დავიწყოთ, მაგრამ ვშიშობ ამითვე არ გავათავოთ.

როგორი სკოლა გვჭირდება?
აი როგორი...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

---

## ქართული პრესა.

გაზ. „ალიონში“ შუქურას წერილი არის მოთავსებული: რას ამბობენ გლეხები სადაც სხვათა შორის ის ეხება გლეხთა და მუშათა დელეგატების ყრილობაზე გლეხების მიერ ნათქვამ სიტყვებს და აღტაცებულია ქართველი გლეხის სიდინჯით და შორს მჭვრეტელობით; რომელმაც

„სთქვა, რომ კერძო საკუთრებას მიწაზე ჯერჯერობით ვერ მოსპობს, თავის ნაამაგარ მიწა-წყალს უსისხლოდ სხვას ვერ დაუთმობს, რაც შეეხება დიდ მამულებს, ის მოამხრეა, ასეთი მამულები უსასყიდლოდ ჩამოერთვას ყველას გადაეცეს ადგილობრივ კომიტეტს. აი, დასკვნა გლეხთა დელეგატების სიტყვებისა. ესეც ფედერალისტების სოციალიზაცია...“

„ამ გვარად ქართველმა გლეხობამ საღად შეხედა საკითხს და ის, გადაწყრა, რო

გორც ეს დღევანდელ ეკონომიურ პირობებს და მის მდგომარეობას შეფერება. ჩვენი გლეხობა ამ მხრით უადრესად პროგრესიული გამოდგა."

ჩვენ ყოველთვის დარწმუნებული ვიყავით, რომ ქართველი გლეხი გაცილებით უკეთ იცნობს თავის საჭიროებას, ვინემ ფედერალისტები, რომლებსაც იმის შიშით, რომ სოციალისტებს ვეწოდებენო, ქართველ გლეხს რუსული რეცეპტი გამოუწერა. ჰაერში აშენებული კოშკი ყოველთვის დაინგრევა.

იგივე შუქურა ერთს მეტად დამაფიქრებელ ფაქტს აღნიშნავს. ვიღაცები დიდიან დაბა-სოფლებში და იარაღის შესაძენად დაუზოგველად ხარჯვენ ფულებს. ვინ შვება ამას? ან ვის საწინააღმდეგოდ იძინება სისხლის დასაღვრელი საშუალება? ჯერჯერობით ეს საიდუმლოებით არის მოცული, მაგრამ ვიმედოვნებთ, დრო თავისას გაიტანს ჭეშმარიტებასაც გამოამჟღავნებს, ის კი

აქვს გარეშეა" რომ ასე იარაღის შეძენა რომელიღაც ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ხდება. წინადაც იძენდენ ამგვარად იარაღს, მაგრამ მაშინ ამბობდენ: ოსმალეთში აპირებენ აჯანყებასო. მაშინდელი პირობების მიხედვით ეს დასაჯერებელი იყო, მაგრამ დღეს, როდესაც უველა ერი თავისუფლად აპირებს ამოსუნთქვას და კულტურული ცხოვრებისათვის ემზადება გვითხრან, გვიპასუხონ: ვის წინააღმდეგ ირაზმებიან ასე გაცხარებით? ვისთვის უნდათ ეს იარაღი? რა მიზნით იხარჯება ასე აჩქარებით აუარებელი ფული იქნება ამის შესახებ რამე იცოდესთ „კავკაზ. სლოვომ".

## კერენსკის მუქარა.

მხოლოდ ორი კვირა გავიდა მას აქეთ რაც სამხედრო მინისტრმა კერენსკიმ რწმენით სოციალისტმა და ხელობით რევოლუციონერმა მთელს ქვეყანას თვისი სოციალ-იმპერიალისტური სული გადაუშალა. ფინლიანდიამ მოისურვა განხორციელება სოციალისტების ეროვნულ პროგრამისა — ეროვნული თვითგამორკვევა. ამის გამო კერენსკიმ ფინეთის დედა ქალაქ ჰელსინგფორსში ჯარს სიტყვით მიჰმართა და უიარაღო პატარა ფინეთს იარაღით დაემუქრა: წყნარად იყავით, თორემ რუსეთს ძალის მოხმარებაც შეუძლიანო.

ამ მუქარის გამო რუსულმა სოციალისტურმა პრესამ კერენსკის განთქმული ბობრინსკი მოაგონა და სოციალ-იმპერიალისტი უწოდა. ეს ამბავი კერენსკიმ არ უარყო.

იქიდან კერენსკი კიევში წამოვიდა. აქაც ალმაცერად გადაჰხედა და დაუბღვირა მალოროსებს, გააფრთხილა ისინი, დაარიგა და შემდეგ: შემდეგ ისეთი რამ წამოსცდა მის ენასა და გულს, რომ მისი დაჯერება როგორღაც გვეძნელება. მან სთქვა: „ზოგიერთი კავკასიელი ერი აცხადებს, რომ ისინი მეფესთან პირადი ხელშეკრულობით იყვნენ შეკავშირებული; მათ არა სწამთ დროებითი მთავრობა და მეზობელთა ხოცვა ჟლეტას მიჰყვეს ხელი (и начинаютъ рѣзать сосѣдей) (рус. слово № 113 მაისის 21).

მთელმა ქვეყანამ უწყის, რომ „ზოგიერთი" ერი, რუსეთთან რომ იყო შეკავშირებული — საქართველოა. ეს სხვებზე კარგად კერენსკიმ უნდა იცოდეს, რადგან იგი, ჯერ ერთი, იურისტია და მეორეც — ორ თვეზე მეტი იგი სამართლის მინისტრი იყო. მან იცის, ან უნდა იცოდეს, რომ უფლებრივი დამოკიდებულება საქართველოსი დამყარებულია 1783 წლის ხელშეკრულებაზე, რომელსაც დღემდის ძალა აქვს. ისიც იცის კერენსკიმ, რომ ეს ხელშეკრულობა „ქაღალდის ნაფლეთი" კი არ არის არამედ დაურღვეველი უფლებაა, რომელიც ყოველთვის ცოცხალი იქნება, რაც უნდა გასთელო და დაგლიჯო იგი. იცის კერენსკიმ, მაგრამ მაინც იბღვირება და ჯერ ჯერობით თითით გვემუქრება. ამას თავი დავანებოთ და პირდაპირ ვკითხოთ კერენსკის: რომელია ის ერი, რომელსაც დროებითი მთავრობა არა სწამს? ასეთი ერი ჩვენ კავკასიაში არ გვეგულება. ან რომელია ის ერი, რომელმაც დაიწყო მეზობელთა ხოცვა-ჟლეტა? არც ამის შესახებ გაგვიგია რამ. მაშ ვის უმიზნებს სოციალ-მინისტრი? ვის ემუქრება, ვის აყვედრის ვის არიგებს ჭკუა-გონებას? არ ვიცით... ის კი იცის ყველამ, რომ ასეთ შავ-ბნელ დროში ყოველი სიტყვა სამხედრო მინისტრისა ცხრაჯერ უნდა იყოს აწონილი და გაზომილი, რომ მეტად სახიფათოა მოშხამულ აზრის გადასროლა, მიუტოვებელი ცოდვაა ყალბი ცნობისა და უმეცარ კორესპონდენტის ჭორის გავრცელება.

ეს ჭორი მინისტრმა უნდა გაჰფანტოს და გადაჭრით განაცხადოს, რომ იგი „რუს. სლოვოს" მოგონილია.

(„საქ.")

## რა სურს ქართველ ერს?

ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში ხშირად გამიგონია, რომ ქართველებს არ გვსურს ჩვენ შინაგან საქმეებში ჩვენვე ვიყოთ ჩვენი ბატონ პატრონი, ესეიგი არ გვსურდეს ვითომ თვით-მმართველობა (ავტონომია); მაშასადამე გამოდის, რომ ჩვენ ვიბრძვით იმისთვის, რომ ჩვენი მონობა განმტკიცდეს. ჰო, ღმერთო ჩემო!

ცბიერს და მატყუარა ადამიანის ენას ბევრი ტყუილი უთქვამს, ქაღალდზეც ბევრი ტყუილი დაბეჭდილა, მაგრამ ამისთანა საშინელი ჯერ არა გაგონილა რა. შეიძლება სხვადასხვა ოინებით მარჯვეთ აგიტატორმა დროებით არ ალაპარაკოს ხალხი ეროვნულ ჭრილობებზე, შეიძლება მან (ერმა) ერის თავისუფლების უარის მყოფელი გაგზავნოს სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებაში, მაგრამ აქედან კიდევ ნუ გგონიათ, რომ მისი ,,ბედი საუკუნოდ მიეფარა, და მომავალ სიცოცხლესაც. შავი მიწა მიეყარა''. არა, ბატონებო, ,,იმის გულში მაინც ღვივის დაფარული ნაპერწკალი''. რომ სდუმს, ეს კიდევ არაფერს არ ნიშნავს. ჯერ მიტომ, რომ, როგორც რომაელების სიბძნე გვეუბნება ,,როცა სდუმან, ჰყვირიან'' მეორეც, თუ ერის სურვილი და მისწრაფებანი გნებავთ გაიგოთ, იმის ისტორიულ წარსულში უნდა ჩაიხედოთ. იგი მრავალი საუკუნოების განმავლობაში ხმალ-ამოწვდილი იბრძოდა მამულისა და ეროვნული თავისუფლების დასაცველათ. ნუ თუ მათი სისხლი, უხვათ დაღვრილი, იმას არ მოწმობს რომ მათ თავისუფლება სწადდათ. ,,უწინ ქართველს უხაროდა მამულისთვის მტერთან ომი; ან მოჰკლავდა. ან თავის თავს შეაკლავდა, როგორც ლომი. ჩვენში ველები, ციხეები, ხეობები, მთები ,,ქართველი გმირების ძვლებით'' არიან მოკენჭილი. ჩვენი სასიქადულო მგოსნის, აკაკი წერეთლის სიტყვით, ისე არ შეიძლება თავისუფლებისთვის დახოცილ ქართველთა რიცხვის ჩამოთვლა, როგორც ზღვაში ქვიშისა, ან ცაზე ვარსკვლავების დათვლა, სად არის მერე თვალთა ხედვა და ყურთა სმენა ზოგიერთებისა, რომლებიც გაიძახიან ქართველებს ეროვნული თავისუფლება არა ჰსურთო?

შეიძლება მითხრათ, რომ უწინ ქართველები ირგვლივ შემორტყმულ აზიურ ურდოებს ებრძოდენ, და მას მერე, რაც რუსეთს შეუერთდენ, ღმერთს მადლობენ და სრულიად რუსის ხელში უნდათ ყოფნაო. შეერთებით კი შეუერთდენ და ეხლაც რუსის ხალხთან ერთობა სურთ, მაგრამ მაგარი ისაა, რომ იმ პირობით შეუერთდენ, რომ ქართველებს თავის ქვეყნის საქმე თვის ნებაზე უნდა განეგოთ და როდესაც რუსეთის ძველმა მთავრობამ ეს პირობა ვერაგულად დაარღვია და ჩვენთვის შეუფერებელი და შეუწყნარებელი წესწყობილება და კანონები შემოიღო ჩვენში, როდესაც მან ჩვენს მშობლიურ ენას დევნა დაუწყო და კიდევაც განდევნა სასამართლოებიდან, სასწავლებლებიდან და, ასე გასინჯეთ, ეკლესიებიდანაც კი, როდესაც მან ჩვენი ეკლესიის თავისუფლება მოსპო და მისი ძვირფასი ნივთები მამულები და სხვა წაიღო, ჩვენი ბევრი მიწა მიითვისა და ზედ უცხო ტომის ხალხს დაუწყო დასახლება, ერთი სიტყვით, როდესაც გამოაშკარავდა, რომ რუსეთის ძველ მთავრობას, დაცვა კი არ უნდოდა საქართველოსი, როგორც რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე პირველის მანიფესტში მოტყვილებით ეწერა, არამედ მისი სრულიათ განადგურება, მოთმინებიდან გამოსული პაწაწინა საქართველოს საუკეთესო შვილები ხმალს მიწვდენ რუსეთის ძველი მთავრობის წინააღმდეგ.

ეს არაფერს მოწმობს?

ეხლა გადავშალოთ ქართველი ერის გული და ჩავიხედოთ მის სიღრმეში. ვნახოთ რა იყო მის გულში, როცა არც დასელები ყოფილან ჩვენში, არც ფედერალისტები და არც სხვა პოლიტიკური პარტია. როცა რუსეთის ძველმა მთავრობამ ვერ გაამართლა ქართველი ხალხის მოლოდინი და უკუღმართი პოლიტიკა გაამეფა, აი რას იძახდა გულდამწვარი ხალხი: „ნათლი მამა ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა; ათას წილად სიკვდილი სჯობს რუსის ხელში განსაცდელსა-"ო ეს ერთი, — მეორე „მოლა მეჩეთში შევიდა, შევიდა და დაიფიცა: წმინდა გიორგი გაუწყრეს, ვინც რო ქართლი რუსებს მისცა-"ო ძალიან წინააღმდეგნი არ ყოფილან, ქართველები ავტონომიისა?

განა არა სჩანს, მოსწონდა ქართველებს რუსეთის ძველი მთავრობის მართვა-გამგეობა ან ეროვნული ჩაგვრა თუ არა? როგორ გგონიათ, ამ მოკლე ხნის განმავლობაში ამოიშლებოდა თუ არა ქართველი ერის გულის სიღრმიდან ის სიტყვები, რომელიც მას განსაცდელმა ათქმევია? არ დავივიწყოთ, რომ უპირველეს ყოვლისა ქართველი კაცი, განსაკუთრებით გლეხი (არას ვიტყვით უცხოეთში აღზრდილ სწავლულებზე) ქართველს უწოდებს თავის თავს.

გლეხი.

# რევოლუციის ამბები

(პ. დ. ს.)

### დეპეშები

ყრილობის დასრულება.

პეტროგრადი. მაისის 29. მაისის 28 დასრულდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საარმიო ყრილობა.

საარმიო ყრილობა

პეტროგრადი. მაისის 29. მე-3-ე საარმიო ყრილობაზე დაადგინეს: ჯარისკაცთ, რომელნიც სამსახურის გამო ერთ ადგილიდან მეორეზე იგზავნება დაენიშნოსთ დღიურათ 3 მან. და მიეცესთ უფასო ბილეთები მატარებელში მიმოსვლისათვის. დადგენილ იქნას ნორმალური დასვენება. გაადიდონ ადგილობრივი ორგანიზაციების მიხედვით საცხოვრებელ ჯამაგირები ნორმამდის.

ჯარისკაცთა გამგზავრება ბრძოლის ველზე.

ვორონეჟი. მაისის 28. 6 როტა გააცილეს სადგურამდის, რომელნიც ბრძოლის ველზე მიემგზავრებოდნენ. კრონშტადელმა მატროსმა შემდეგი სიტყვით მიმართა ჯარისკაცთ: ბრზოლის ველზე მტრის შეტევაზე ხელი აიღეთ; ნურას დაუჯერებთ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, რომლის შემადგენლობაშიც შედიან კადეტები. ნუ ენდობით დროებით მთავრობას, რომლის ნახევრობასაც ბურჟუა მინისტრები წარმოადგენს, ჯარისკაცთ ბრძოლის ველზე და თხრილებში რომ გზავნიან და თვითონ კი ფულებით ავსებენ თავიანთ ჯიბეს. ხალხში გაისმა პროტესტი და იძახდენ „სიცრუეაო" ასეთს პროტესტს სალდათები ცივად შეხვდენ.

უკრაინელ გლეხთა ყრილობის დადგენილება.

ბლაგოვეშჩენსკი. მაისის 28. ამურის უკრაინელ-გლეხთა ყრილობაზე დაადგინეს: მოთხოვნილ იქნას ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია და დაუყონებლივ მოხდეს შედგენა უკრაინულ პოლკებისა.

დამფუძნებელ კრების გარშემო

პეტროგრადი. მაისის 29. დამფუძნებელ კრების მომწვევ კომისიის განსაკუთრებულ სხდომაზე განიხილეს მოხსენება პასიურისა და აქტიური ამომრჩევლის უფლების შესახებ. კრების თავმჯდომარე კოკოშკინი აღნიშნავს რომ, არჩევნებში ხმის მიცემის უფლების შესახებ კომისიის წევრები გაიყვენ ორ ნაწილადო. ამავე დროს გამოდის ორი მომხსენებელი. ერთის მხრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელი დობრონიცკი მოითხოვდა რომ არჩევნებში მონაწილეობის მიღება უნდა შეეძლოსთ ყველა ახალგაზრდას ვისაც 18 წელი შესრულებული ექნებაო. ამ მოსაზრებას ამართლებს ის გარემოება, რომ ჯარში გაწვეულნი არიან სწორედ 18 წლიანები და რომ ჩვენ მათ ხმის მიცემის უფლება წავართვათ ეს გამოიწვევდა ჯარში უკმაყოფილებასა და პროტესტებსო.

მეორე მომხსენებელი სოროკინი კი, გლეხთა საბჭოს სახელით მოითხოვდა არჩევნების უფლება მისცემოდათ ყველას, შედარებითი წლოვანების მიხედვით. ამ კითხვის გადაჭრაში მონაწილეობა მიიღეს ვინავერმა, ვიშნიაკოვმა, ბრუსოვიჩმა, მაკლაკოვმა, ბრამსონმა და სხვებმა, რომელნიც მიემხრენ გრუზენბერგის შემდეგს წინადადებას: ჯარში გაწვეული ახალგაზრდები არჩევნებში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს შედარებითი წლოვანების მიხედვითო. შემდეგ კენჭი უყარეს პიველ ორი მომხსენებლის წინადადებსა და ხმის უმეტესობით დაადგინეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლოსთ მხოლოდ 20 წლიანებსო. შემდეგი სხდომა მაისის 30.

გლეხთა ყრილობის დასრულება

პეტროგრადი. მაისის 29. დასრულდა სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა, რომელზედაც გაირჩა კითხვა კრონშტატის შესახებ. ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა წერეთელმა კრონშტატის შესახებ. წერეთელს გამოეკამათა ბოლშევიკების წარმომადგენელი. ყრილობაზე გამოიტანეს რეზოლუცია; კრონშტადტის ინცინდენტის ხელმძღვანელნი უნდა ჩასთვალონ რევოლუციის ფრიად მავნებელ ელემენტებადო: დასასრულ შეეხენ და დაჰგმეს ყველა მათი მოქმედება ვინც არ ემორჩილება დროებით მთავრობასო. სასურსათო მინისტრმა პეშეხონოვმა მოუწოდა დამსწრეთ ენერგიული ბრძოლა გამოუცხადონ ანარქიის გაღრმავებას.

## რუსეთი.

(პ. დ. ს.)

### დეპეშები.

დეზერტირების დაჭერა.

ასტრახანი. 28 მაისი. ღამით მოახდინეს დეზერტირებზე თავ-დასხმა. დააკავეს 3000-მდე დეზერტირი.

ჟიტომირი. 28 მაისი. აქაც მოახდინეს დეზერტირებზე თავდასხმა და დააკავეს 1300-მდე დეზერტირი.

ეკატერინოდარი. 28 მაისი. ღამით დააკავეს რამდენიმე ათასი დეზერტირი. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

ექიმ-ფერშალთა ყრილობა.

ოდესა. 28 მაისი. გაიხსნა რუმინეთის ფრონტზე მყოფ ჯარის სამხედრო ექიმ-ფერშლების ყრილობა.

ქვა-ნახშირის დამუშავების საქმის შემცირება.

დონის როსტოვი. 28 მაისი. დონის ოლქის მთა-მადნებში ამ უკანასკნელ ხანში ეტყობა ქვანახშირის დამუშავების საქმის შემცირება, რომელმაც 100 მილიონამდე მიაღწია, მიზეზი გამოწვეულა სამუშავო დღის შემცირებით ხელფასის გადიდებით და მუშაობის ინტენსივობის შემცირებით.

თავისუფლების სესხი.

დონის როსტოვი. 28 მაისი. თავისუფლების სესხზე ერთ მილიონ მანეთამდე მოაწერეს ხელი. მოქალაქენი სწირავენ მრავალს ვერცხლსა და ოქროს.

აღმასრულებელი კომიტეტის შუამდგომლობა.

ეკატერინესლავი. 28 მაისი. აღმასრულებელმა კომიტეტმა საგუბერნიო კომისარად აირჩიეს საერობო თვითმმართველობის თავმჯდომარე გეოზბერგი. დაადგინეს იშუამდგომლონ დროებითი მთავრობის წინაშე, რათა საჩქაროდ გამოცემულ იქნეს მწარმოებელთა მოგების შემზღუდველი კანონი, გადაეცეს მეფაბრიკეთა საქონელი ადგილობრივ თვითმმართველობებს და კოოპერატივებს.

მინისტრ კერენსკის დაბრუნება.

პეტროგრადი. 29 მაისი. სასწრაფო. მოსკოვიდან დაბრუნდა სამხედრო-საზღვაო მინისტრი კერენსკი. კერენსკის მიეგებენ: პეტროგრადის ოლქის ჯარის მთავარსარდალი გენერალი პოლოვეცკი, მისი თანაშემწე კუზმინი და სხვანი. დამსწრე ხალხი ალტაცებით მიეგება კერენსკის. კერენსკი მიესალმა საზოგადოებას ლამაზი სიტყვით.

მომრიგებელ მოსამართლეთა შუამდგომლობა.

პეტროგრადი. 29 მაისი. მომრიგებელ მოსამართლეების ორგანიზაციამ, რომელნიც უნდა შეკრებულიყვნენ დღეს კშესინსკის სასახლეში, შუამდგომლობა აღძრა სამართლის მინისტრის წინაშე, რათა მათ მიეცესთ ერთი კვირის ვადა. სამართლის მინისტრი დასთანხმდა. ის ორგანიზაციები, რომელთაც სასახლე უკავიათ ყველა დირექტივებს ღებულობენ კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსგან. დღეს სასახლეში მოვიდა მოარტელე და მოსამსახურეთა ზოგიერთ ავეჯეულობის საზოგადო ორგანიზაციამ დააკმაყოფილა მოარტელეს მოთხოვნილება.

სათანადო მინისტრის [illegible] დასტური.

პეტროგრადი. 29 მაისი. სათინანსო მინისტრმა შინგარიოვმა [illegible] საუბრის დროს სხვათა შორის სთქვა: სახელმწიფოს ფინანსიური მდგომარეობა ფრიად მძიმე პირობებშიაო. გასავალი დღითი დღე არაჩვეულებრივად იზრდება შემოსავალი კი სრულიად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებათო. ამიტომ საჭიროა, მივიღოთ ზომები შემოსავლის გასადიდებლადო. ამ დღეებში უნდა შემოღებულ იქნას ფრიად დიდი პირდაპირი გადასახადები. აგრეთვე შემოღებულ იქნება სამხედრო გადასახადები. იმ პირთ, რომელთაც სამხედრო ბეგარა არ ეხებათ დაედებათ გადასახადები და სხ. აგრეთვე მუშავდება პროექტი სამემკვიდრეო გადასახადების შესახებ.

## უ ც ხ ო ე თ ი.

(პ. დ. ს.)

### დეპეშები.

ახალი კაბინეტის შედგენა.

მადრიდი, მაისის 29. ახალი კაბინეტის შედგენა დაევალა დატოს.

ახალი კაბინეტის შემადგენლობა

მადრიდი. მაისის 29. ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შედიან. მინისტრ-პრეზიდენტი მარკიზი, საგარეო საქმეთა მინისტრი დატო, სამართლის მინისტრი ბურგოსი სამხედრო მინისტრი გენერალი კომიტანი, საზღვაო მინისტრი გენერალი ფლორენსი, შინაურ საქმეთა მინისტრი გერრა, სათინაანსო მინისტრი ბუგაილი და განათლების მინისტრი ადრადო.

## მსოფლიო ომი

### დეპეშები.

დასავლეთის ასპარეზი

**პეტროგრადი.** მაისის 28. ოფიციალი. ახლო აღმოსავლეთში გაცხოველებული საარტილერიო მოქმედება სწარმოებს.

**პარიზი.** მაისის 29 ოფიციალი. სერხის მიდამოებში მდ. სომის ჩრდილოეთით არტილერია ორივე მხრიდან ენერგიულად მოქმედებდა. სერნის დასავლეთით მტერი მოვიგერიეთ. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში სიწყნარეა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** მაისის 28. ოფიციალი. გრძელდება საარტილერიო სროლა. ჩვენს ბატარეებს მტერი ძლიერად უშენდა. წამოვიყვანეთ ტყვეები.

მფრინავთა მოქმედება.

**პეტროგრადი.** მაისი 29 ოფიციალი. გერმანელების ჰაეროპლანები ყუმბარებს გვიშენდნენ. ჩვენი მფრინავები უპასუხებდენ გერმანელების 4 აპარატმა ორენბურგში ყუმბარები ჩამოყარა.

**ზ ღ ვ ა ზ ე.**

**ლონდონი.** მაისის 29 ოსტენდის მიმართულებით დაზვერვის დროს მოხდა საზღვაო ბრძოლა და ფრიად დაზიანდა ოსტენდის ნავთსადგური.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. მაისის 29. ოფიციალი. ღამის განმავლობაში ხდებოდა გაძლიერებული საარტილერიო ბრძოლა, ასპარეზის სხვადასხვა ადგილებში ბრძოლამ განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო კრაონის მიდამოებში. მტრის მზვერავთა რაზმი ამაოდ სცდილობდა დაახლოებოდა ჩვენს ბრძოლის ხაზს. ჩვენ მტერზე მოვახდინეთ მოულოდნელი თავდასხმები. ოგიერთ ადგილებში შევიჭრით თხრილებში. დიდი ზარალი მივაყენეთ. მტერს წამოვიყვანეთ 20 — მდე ტყვე.

## უკანასკნელი ამბები.

ჰინდენბურგის განცხადება.

ფელდმარშალი ჰინდენბურგი აცხადებს: „გერმანეთი სრულიად იზიარებს რუსეთის დემოკრატიის მოწოდებას, ვილჰელმს კარგა ხანია, რაც მშვიდობიანობის დამყარება ჰსურს. გერმანეთი მზადაა რუსეთთან სეპერატიული ზავი შეკრასო.

ავსტრია

რუსულ გაზეთების ცნობით იმპ. კარლოსი მზათ არის სეპერატიული ზავი

შეკრას, ავსტრიის ბურჟუაზია დარწმუნებულია, რომ ომი 21 ივლისს გათავებული იქნება.

უკანასკნელ დროს ახალ მთავრობას ალარავითარი ცნობა არ მოსდის კრონშტადტელებმა დაადგინეს არ დაემორჩილონ ახალს მთავრობის დადგენილებებს. კრონშტადტის ალმ. კომიტეტის წევრები ყოველ ღონეს ხმარობდენ მეზღვაურები თავიანთ მხარეზე გადმოიბირონ თუ კრონშტადტელები გონს არ მოვიდნენ და მორჩილება არ განუცხადეს დროებით მთავრობას, მათ წინააღმდეგ სასტიკი ზომები იქნება მიღებული.

მოსკოვის კომისარიატში ანარხისტებმა მოჰკლეს ერთი კომისარი, რომელიც წინააღმდეგ იყო ლინჩის სამართლისა. ანარხისტებმა ესეც არ იკმარეს. ამ ჟამად მოითხოვენ მთელი კომისარიატის სამართალში მიცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქიით იმუქრებიან.

კშესინის სასახლეში მოვიდნენ კრონშტადტელები და მეუმრავლესეებს განუცხადეს: სასახლე ეროვნული საკუთრებაა და რევოლუციონურს პარტიებს ძლვნად მივართმევთო. ამასთანავე ერთად კრონშტადტელებმა ორი ტყვიისმფრქვეველიც გადასცეს: მაგრამ მათ უარი განუცხადეს იარაღის მიღებაზე.

რუსეთისა, საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობებმა განუცხადეს იტალიის მთავრობას, რომ ალბანეთის დამოუკიდებლობის საკითხი საერთაშორისო საკითხია და ამიტომ კერძოდ მის გარდაწყვეტის უფლება არავის მიეცემაო.

გაიხსნა ლიტველთა სეიმი, რომელსაც დაესწრნენ მთელი ლიტვის წარმომადგენელნი, 200 კაცზე ერთი.

,,ევროპის'' სასტუმროში გაანადგურეს ინგლისელთა შრომის მინისტრის ბინა. როგორც სჩანს, მინისტრთა დარჩენილ საჭირო დოკუმენტების აღმოჩენასა ცდილობდნენ.

მოსკოვის სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე მალიანტოვიჩმა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კომიტეტში, კრებას აღუწერა მოსკოვის მეციხოვნეთა უნუგეშო მდგომარეობა. ჯარის კაცები უგულოდ ეკიდებიან საქმეს, აფიცერთა შემადგენლობაც თავის რიგზედ არ არის; ყარაულები ცუდად ასრულებენ სამსახურს. გუჩკოვის ბრძანების შემდეგ (რომლითაც დეზერტირები მაისის 15-ს უნდა გამოცხადებულიყვნენ) დეზერტირობამ უფრო იმატა.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **უყურადღებობა.** ჩვენ რედაქციაში შემოვიდა ორი სახალხო მასწავლებელი და გვთხოვეს გამოვაცხადოთ შემდეგი: დასავლეთ საქართველოს პირველდაწყებითი მასწავლებელთა კავშირის ლამით თავშესაფარი ოთახი მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ღამის გამთევ მასწავლებელთა შორის: მიუხედავად იმისა, რომ გამგეობა ფინანსიურათ უზრუნველყოფილია ნამეტურ 26 მარტის კრების შემდეგ, როდესაც ყველა მასწავლებელმა საწევრო გადასახადი სამ-სამი მანეთი სრულებით შეიტანა — დღემდის მას თავიანთი დავალება შესაფერათ კიდევ არ აქვს შესრულებული, რაც გამოიხატება ლოგინის უსუფთაობით, განათების, უწყლობის და ყველა საჭირო ნივთების უქონლობით... როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ დაქირავებული მოსამსახურე ქალი ორ კვირაში ოთახში ერთხელაც არ შეიხედავს და ყველაფერი ღვთის ანაბარაა მიტოვებული და არეულ დარეული. საჭიროა ამ გარემოებას გამგეობამ დაუყონებლივ ყურადღება მიაქციოს თუ არ სურს დაიმსახუროს რამდენიმე ათ სი მასწავლებლების საყვედური და უნდობლობა.

✦ **ახალი გაზეთი.** ამ მოკლე ხანში თბილისში გამოვა ნ. დუბროვსკის რედაქტორობით ახალი გაზეთი „რესპუბლიკა".

✦ **დაპატიმრება.** ქუთაისში დააპატიმრეს ჯარის-კაცი ფალავა, რომელსაც ნაპარავი იარაღი აღმოაჩნდა.

✦ **ვალერიან გუნიას იუბილე ბათუმში.** 3 ივნისს ბათომის ქართველობა მადლობის დღეს უმართავს ვალერიან გუნიას

✦ **დაკარგული ძროხა.** კომისარმა ჯიმშელეიშვილმა კახიანაურის გზაზე ქურდებს წაართვა ძროხა. პატრონს შეუძლია მოიკითხოს ჯიმშელეიშვილთან.

✦ **სასურსათო საქმე,** ქურ. სასურსათო კომიტეტმა მიიღო 134 ვაგონი სიმინდი რომელიც უკვე დაარიგა.

✦ **ქალაქის სასანიტარო საქმე** ექიმმა მაჭავარიანმა ალმ. კომიტეტისაგან უფლება მიიღო დაჰკეტოს ყველა ის სასადილოები, სასტუმროები და ამანათები, სადაც კი უსუფთაობა აღმოჩნდება. აგრეთვე ექიმ მაჭავარიანს ნება აქვს ქუთ. სახლის პატრონთა ეზოში აღადგინოს სი სუფთავე და გაწეული ხარჯი ადმინისტრატიულის წესით სახლის მეპატრონეთ გადაახდევინოს.

✦ **პრავოკატორის შეპყრობა ქუთ.** ქალაქის ბაღში შეიპყრეს სოფ. უწერის მცხოვრები ჩიქოვანი, რომელიც ჯარს მოუწოდებდა იარაღი დაყარეთო და ბრძოლის ველზე არ წახვიდეთო.

✦ **სასწავლებელში დამდგომ სამოსწავლო წლიდან** თბილისის ქართული სათავადაზნაურო ქალთა გიმნაზიაში თავისუფალია შემდეგი საგნის მასწავლებელთა ადგილები. მათემატიკის, არითმეტიკის და ფიზიკისა.

✦ ე. **კორძაიას კერძო სასწავლებელის;** პროფესიონალურ განყოფილებაში კურსი დაამთავრეს შემდეგმა ქალებმა. ასათიანი ვერა, გიორგობიანი ლუბა, გაბუნია ნეოლინა, გიორგაძე ოლია, გაფრინდაშვილი ალექსანდრა, ესაკია მარო ვ ეფხვაძე თამარი., ვარდოსანიძე ლიდა კაციტაძე კატო კლდიაშვილი ელო, კილაძე ნადეჟდა, კუპრაძე ალექსანდრა. ლომინაძე ბარბალე გირგადორფი ნადეჟდა. ნემსაძე პოლექსენია, ქლენტი მარიამი, სანიძე თამრო, ფურცხვანიძე ელენე, ქუთათელაძე ვალენტინა, შარაშიძე ნინო, შარაძე ლიდა, შენგელია, ჩიევსკისა ევდოკია, ჩხატარაიშვილისა ლიზა, ხოშტარია ლიზა, ჭაჭანიძე ანნა, ჯულელი ნინო, ჯულელი აგრაფინე.

### პროვინცია.

✦ **დ. ბორჯომი.** ბორჯომიდან იუწყებიან, რომ მოაგარაკეთათვის წელს მეტად ცუდი პირობებია. სურსათ სანოვაგე არ იშოვება. ბინა 300 მან. 400 მანეთამდე ღირს, თითო-ოროლა ოთახი.

✦ **დ. სენაკი.** კვირას, 4 ივნისს 1917 ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების სასარგებლოდ ადგილობრივ ქალაქის ბაღში გაიმართება დიდი სახალხო სეირნობა ლოტარია ალეგრით და სხვადასხვა გასართობებით. სეირნობის დროს დაუკრავს სამხედრო მუსიკა. დასაწყისი დილის 4 საათზე. შესასვლელი ფასი მოზრდილთათვის 50 კაპ. მოსწავლეთა და ბავშთათვის 20 კ.

✦ **დ. ზესტაფონი.** 4 ივნისს აქ მოხდა ზემო იმერეთის ყველა წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა შეერთებული ყრილობა.

✦ **ს. მუხური.** 23 მაისს აქ მოჰკლეს ცოლქმარი აბესაძეები.

### თ ბ ი ლ ი ს ი.

— **თბილისის პოლიტეხნიკუმი.** პეტროგრადში, მ. მ. ნოვიკოვის თავმჯდომარეობით, თათბირი ჰქონდა საგანგებო კომისიას. თათბირის საგანს შეადგენდა მოწყობა უმაღლეს სასწავლებლებისა რუსეთში. კომისიამ საჭიროდ სცნო, თბილისში მომავალ ენკენისთვიდანვე გაიხსნას პოლიტეხნიკუმი 4 ფაკულტეტით (სოფლის მეურნეობა, ქიმია, გიდრომექანიკა და ეკონომია). განათლების მინისტრმა უნდა დანიშნოს დირექტორი, 4 დეკანი და 6 პირველი პროფესორი. ინსტიტუტის შენობა უნდა აგებულ იქმნას ადგილობრივი საშუალებით, ხოლო შენობის მოსაწყობად ხაზინიდან გადაიდვას 1,175700 მან რადგან შენობის აგება ეხლავე შეუძლებელია, მომავალ ენკენისთვიდან ლექციების კითხვა მოეწყობა კერძო შენობაში. მიმდინარე ხარჯების დასაფარავად მთავრობა გადასდებს 1617 წ 47,000 მანეთს 1918 წ. 1850000 მ. 1619 წ. 374,000 მ., 1920 წ. 4870 მ. ხოლო შემდეგ ყოველ წლობით 7185135 და 1921 წ, 650, 000 მან. დროებითი მთავრობას კომისიის პროექტისავს ებით შეუწყნარებია.

— **ქართველი ისრაელები.** თბილისის ებრაელთა სათემო კომიტეტის სიაში კანდიდატობაზე უარი განაცხადეს რაფაელ გორელიშვილმა, სოლომონ ბახანოვმა, შ. დ. ხახმიშვილმა და აბრამ ბახანოვმა. მიზეზი ისაა, რომ ხსენებული პირნი თბილისის ქართველ ისრაელთა საზოგადოებას ეკუთვნიან.

✦ **სამხედრო საკრებულოს განცხადება.** სამხედრო საკრებულო აცხადებს, რომ დროებითმა მთავრობამ მაისის 9-ს დაადგინა: 1898 წელს დაბადებულ მოწაფეებს უნივერსიტეტში შესასვლელად 1917 წ. ოქტომბრის 1-მდე დააცადონ. მოწაფეებმა უნივერსიტეტში შესვლის სურვილსამხედრო საკრებულოს უნდა განუცხადონ ამა წლის ივნისის პირველამდე.

## საერთო მიმოხილვის მაგიერ.

### ავსტრია.

გაზ. „ნოიე ფრაიე პრესსე" სწერდა: „ავსტრიის კონსტიტუციურ მონარქიისათვის ახალი დრო დადგა. იმპ. კარლოსის სეჯე სიტყვა ამის დამამტკიცებელიაო".

იმპ. კარლოსმა თავის სიტყვაში ხაზ გასმით აღნიშნა, რომ იგი ახალ უფლებებს მიანიჭებს ავსტრიის მცირე ერებს. იმპერატორს არ უხსენებია თუ რას პირდებოდა იგი სხვა ეროვნებათ. ეს მონარქების პსიხოლოგიის თვისებაა და გასაგებად რომ ვსთქვათ, უვადო ფიქტიურ თამასუქის გაცემას ნიშნავს.

იმპ. კარლოსი თავის წინაპარ ფრანციოსებზე ბევრად პოლიტიკოსია. ის ზედმიწევნით აფასებს ამა თუ იმ მომენტს, მაგრამ „ლიბერალი" გრძნობა მასში უფრო მეტია, ვიდრე განსვენებულ ფრანც იოსებში. კარლი აღიზარდა ჩეხელ თავად-აზნაურთა წრეებში და მას საშუალება ჰქონდა პირადათ დაენახა თუ რა არის ეროვნული მონობა. 19 წლის კარლოსი ჩეხელ თავადიშვილის ბინიმსკის სასახლეში სუფრაზე იმენდა, „ჩვენი სათაყვანებელი იდეალი ჩეხეთის თავისუფლება არისო.

კარლოსში ნაკლებია გერმანული სისხლი და დისციპლინა. მემკვიდრეობის დროს დიდი მფარველი იყო ავსტრიის არა მპყრობელ ეროვნებების, მაგრამ დღეს იგი იმპერატორია, „უფალი" ავსტრო-ჰუნგრეთისა. მაშასადამე „იმპერატორული" წინდახედულობა და ნიჭი საჭიროება, რომ თვითმპყრობელობის სკიპტრი არ წაერთვას.

მას სძულს იმპ. ვილჰელმი, მაგრამ ეშინია მისი. გადამდგარი უნგრეთის პრემიერი გრაფი ტისსა მეტად ეჯავრებოდა კარლოს. და მის გადადგომას სიხარულით შეხვდა. გრ. ტისსა ვილჰელმის ერთგული იყო. ავსტრიის დემოკრატია ომის გამოცხადებაში გრ. ტისსას ბრალსა სდებს. 1915 წ. გრ. ტისსა ფაქტიური ბრძანებელი იყო ავსტრო ჰუნგრეთისა. მან ყურ მოჭრილ ყმად გაიხადა პარლამენტი. მისი მეოხებით ომის დაწყების — შემდგომ რეიხსრატი არ მოუწვევიათ.

გრ. ტისსა ბერტჰოლდის კოლეგა იყო და მოკლულ შტიურგკისა. ბევრი ფრანც იოსები ყველაფერს უჯერებდა ამათ.

როდესაც გრ. ბერტჰოლდი გადადგა და პრემიერი შტიურგკი ფრ. ადლერმა მოჰკლა, გრ. ტისსა მარტო ხელი დარჩა, მას ძლიერი ,,თანამებრძოლები'' მოშორდა და მისი გეგმა ჩაიფუშა. ავსტრიის ცხოვრების განახლებისთვსს დიდი ღვაწლი დასდო ფრ. ადლერმა. ახალგაზრდობის ხანაში მასაში მუდამ ჰქმნიდა ბიუროკრატ იმპერიალისტებისადმი სიძულვილს. ხალხს აძულებდა თვით მპყრობელობის ფორმებს და ალელვებისაკენ მიუწოდებდა. ბოლოს ჭეშმარიტმა დემოკრატმა ფრ. ადლერმა თავის ხელით მოჰკლა პრემიერი შტიურგკი და ამით ხელი შეუწყო, როგორც მან სასამართლოს პროცესის დროს განაცხადა, იმ საშინელ ამბების გამოაშკარავებას, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთის ცხოვრებას ფლობდა.

ადლერის მიერ შტიურგკის მოკვლამ დიდი გავლენა მოახდინა ავსტრიის დემოკრატიაზე. ამ დღიდან იწყება დემოკრატიის გამოსვლები სისხლის ღვრის შესაწყვეტად და იმპერიალისტურ მისწრაფებათა საწინააღმდეგოთ. ადლერის მიერ მოტანილ ნაყოფს ზედ დაერთო რუსეთის რევოლუციის გავლენა, რომელსაც კარლოსი თავისი სეჯე სიტყვით და რეიხსრატის მოწვევით შეეგება. რეიხსრატის მიწვევის, დღეს ვენის სოც. დემ. მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები გამართეს. ისინი მოითხოვდენ ომის საჩქაროდ გათავებას უანექსიო და უკონტრიბუციო საპატიო ზავით, ხალხთა თავისუფალ თვით გამორკვევის პრინციპზე აშენებულს.

ყოველ გვარ მოვლენას თავის გარკვეული შედეგი ახლავს თან.

ცხადია ავსტრიის დამონებული ერები დღეს გაბედულად ილაპარაკებენ ეროვნულ თავისუფლების მინიჭებაზე. დემოკრატია აღიარებს ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევის პრინციპს. ეს კი საშუალებას აძლევს მონობაში მყოფ პატარა ერებს საკუთარი შინათარსებობა მოიპოვონ. ავსტრია სხვადასხვა ეროვნებებით არის აჭრელებული და იქ ეროვნულ კითხვას მეტად სერიოზული ხასიათი აქვს.

**რეს.**

## ა. ჩხენკელის მოხსენება ეროვნულ კითხვაზე.

გაზეთ „საქართველოში" [illegible] კორესპონდენცია არის მოთავსებული, რომელიც სავსებით მოგვყავს.

„მაისის 28 [illegible] ამიერ-კავკასიის [illegible] ყრილობის [illegible] სექციაში ბ-ნმა ჩხენკელმა ცოტა რამ მოასხენა [illegible] [illegible] რომ მოხსენება [illegible] იყო.

„ეროვნული საკითხის უარყოფას გვაბრალებენ, მაგრამ ეს შეცდომაა, მეტი რომ არა ვსთქვაო, — ჩვენ ეროვნული თავისუფლებისაკენ სხვა გზით მივდივართ, ვიდრე სხვანიო; ჩვენ იმედებს ვამყარებდით და ვამყარებთ რუსეთის რევოლუციაზედ, რომელიც მოიტანს ადამიანის თავისუფლებასთან ერთად ეროვნრლ თავასუფლებასაც; ამიტომ ჩვენი ტაქტიკა უპირველეს ყოვლისა რევოლუციის გაღრმავება არის. ეროვნული საკითხი უმრავლესობის საკითხია და მაშასადამე დემოკრატიისაც. ამისთვის იბრძვიან ჩვენი საუკეთესო წარმომადგენელნი რუსეთშიაც და აქაც, ამიერ-კავკასიაში, საცა აუცილებელია შეთანხმებით მოქმედება სხვა ერებთან. ბურჟუაზია დაინტერესებულია ერთა ბრძოლაში და მისი ეროვნული მისწრაფებანი სახიფათოა რევოლუციისათვის, ამიტომ სხვადასხვა ერთა დემოკრატიის შეთანხმებაა საჭირო. მაგრამ ვერც ბურჟუაზიასა ვკრავთ ხელს, თუ იგი ინტერნაციონალ დემოკრატიის პრინციპებს დაჰყვა, რასაც ჩვენ ველით მისი გონიერი ნაწილისაგანო.

აქედან ბ-ნი ჩხენკელი გადავიდა მომავალ წყობილების ფორმაზედ. უზრუნველმყოფელი ერთაშორის სოლიდარობისა ამიერ-კავკასიაში იქნება: **უფლებამოსილი არჩეული ორგანო,** დაარქმევთ მას პარლამენტს, სეიმს თუ საბჭოს —**თბილისში** იგივე იქნება დამცველი საერთო ამიერ-კავკასიის ინტერესებისა სახელმწიფოს წინაშე. ეს არის დემოკრატიული **თვითმართველობა,** რადგან შეიცავს ადმინესტრატიულ და პოლიტიკურ თვითმართველობის უფლებას (არა სახელმწიფოებრივი ხარისხისას). მაგრამ ეს არ გადაწყვეტს ეროვნულ საკითხს, რადგან **ბევრი არაფერი დაურჩება სამოქმედო.** ამიერ-კავკასიის ერთა შორის იმდენი **განსხვავებაა** სხვადასხვა გვარი, რომ საჭიროა ცალკე ეროვნული თვითმართველობანიც, ესე იგი ამიერ-კავკასია, როგორც ერთეული იმოქმედებს რუსეთის წინაშე და ერთმანეთს შორის, როგორც კავშირი. ცენტრის კანონები, ე. ი. სახელმწიფოებრივი, იმდენადვე სავალდებულო იქნება ყველასათვის, როგორც ადგილობრივი, კულტურულ ვითარების განმსაზღვრელნი: ეროვნულკულტურული თვითმართველობა. შემდეგი საკითხი იყო ეროვნულ ტერიტორიალი თვით მარველობა, რომლის წინააღმდეგი პრინციპიალად არავინ ყოფილა ჩვენში. მაგრამ კონკრეტულად, ფორმის და სახელის მხრივ, მეცნიერულ უფლებრივი თვალსაზრისით და რადგან ფედერალისტები ავტონომიაში გულისხმობენ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს და მათი ფედერაცია (თვით სახელით) არსებითად არის კავშირი სახელმწიფოებისა — ჩვენ პირდაპირ არ ვამბობთ ამ სახელს — ავტონომიასაო.

სხვათა შორის სთქვა ისიც, რომ ფედერალისტებმა კონფერენციაზედ ერთი საკითხი სახელმწიფოებრივ უფლებისა, სა•

## ვინ მიიყვანა 1853 წელს შვიდი

### თავისუფალი სვანი ბორჯომს მაშინდელ მთავარმართებელთ. ვორონცოვთან.

განსვენებული ბარტოლომეი და იმის კვალზე მიმავალნი, ბ-ნნი სტოიანოვი და ბოროზდინი, მოკლედ მოგვითხრობენ რუსის მთავრობის შემოსვლას სვანეთში, ხოლო იმასაც გადასხვაფერებულად, თავის ჯემოვნებაზე. მაგალითად, განსვენებული ბარტოლომეი სწერს, რომ 1853 წელს შვიდი სვანი თავისუფალ სვანეთიდგან მივიდნენ პირდაპირ ბორჯომს მაშინდელს კავკასიის მთავარ-მართებელ თ. ვორონცოვთან სათხოვრად, რომ რუსეთს შეუერთე სვანეთიო. ბ-ნი ბოროზდინი თავის მხრით უმატებს, რომ ამ სვანების მისვლა თ. ვორონცოვთან დეკანოზ ქუთათელაძის ჩაგონებით მოხდაო და სვანებმაც ეს რჩევა ქუთათელაძისა სიხარულით მიიღეს, რადგანაც შეწუხებულნი იყვნენ თთ. დადეშქელიანების დადიანებისა და მერე სხვათა თავადიშვილთ გვარეულობათაგანო. ჩვენ მიერ ადგილობრივ შეკრებული ცნობანი კი სხვანაირად მოგვითხრობენ ამ შემთხვევას, რომლის აღწერაც უშგულის აღწერაში გვინდა მოვათავსოთ, რადგანაც უშგულიდან დაიწყო ეს საქმე. *)

1853 წელს თ. გრიგოლ წერეთელმა (რაჭიდამ) უშგულს გამოგზავნა მოციქულად ღების მღვდელი, სპილინდო გავაშელიშვილი, და ერთი რაჭველი, ვიღაც აზნაური გრიგოლი, რომლის გვარი ნამდვილად ვერ მითხრეს. უშგულსა და ღებს ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში და ამიტომაც თ. გრ. წერეთელმა მოციქულად ამოირჩია ღების მღვდელი სპილინდო. თ. წერეთელს ეთხოვნა მღვდლის გავაშელიშვილისათვის: როგორმე დაითანხმე უშგული და რუსეთის ქვეშევრდომობა მიაღებინეო. თუ ეს ვერ მოხერხდებოდა, მღვდელი სპილინდო უნდა ცდილიყო, რომ რამდენიმე უშგულელი რაჭას წამოეყვანა იმასთან; ვინიცობაა უშგულელები არ წამოვიდოოდნენ, მაშინ სხვა სოფლებიდამ უნდა მოეყვანა ვინმე. თ. წერეთელმა საჭირო ფული გაატანა სპილინდოს.

მღვდელი სპილინდო და აზნაური გრიგოლ რაჭველი უშგულში მოვიდნენ. სპილინდოს აქ ერთი ძლიერი დაახლოვებული ნაცნობი ჰყავდა, - სახელდობრ, გეგი რატიანი. ამ რატიანს ესტუმრა სპილინდო და გაუმჟღავნა თავისი აზრი. გეგი რატიანი უშგულში გავლენიანი კაცი იყო და იმდენს ეცადა, რომ ხალხის ყრილობა მოახდინა. ყრილობას რატიანმა თ. გრიგოლ წერეთლის სურვილი განუცხადა და დაასახელა მოციქული სპილინდო გავაშელიშვილი, რომელსაც უშგულში ბევრი იცნობდა. უშგულის ყრილობას ეწყინა ეს მოულოდნელი ამბავი ხალხმა რატიანს ლაპარაკი გააწყვეტინა და გაჯავრებულმა გასწია იმის სახლისაკენ, სადაც მოციქულები, მღდ. სპილინდო გავაშელიშვილი და გრიგოლ რაჭველი, იყვნენ; ხალხს უნდოდა ტყვედ შეეპყრა იგინი. რატიანმა რომ ამას შეხედა, ყრილობას მიასწრო სახლში და სტუმრები მეზობლის კოშკში დამალა. კრების ხალხი გეგი რატიანის სახლს შემოერტყა და თხოულობდა: გრიგოლ წერეთლის გამოგზავნილი მოციქულები დაგვანებეო. გეგი რატიანი, სახლში დამწყვდეული, ეფიცებოდა ყრილობას, რომ მოციქულები ჩემს სახლში არა მყავს და გავისტუმრე კიდეც რაჭასაო. ყრილობამ რატიანის ფიცი არ დაიჯერა და სამი დღე და ღამე რატიანის სახლოპა კაცებიან-საქონლიანად გამოამწყვდია სახლში. რატიანი ერთობ შეაწუხა ამ გარემოებამ. მესამე დღეს უთხრა ყრილობას, რომ მოციქულები დამალული მყავს სხვაგან, ნება მომეცით სახლიდგან გამოვიდე და მოციქულებს მაშინვე რაჭას დავაბრუნებო. ყრილობა ჩვეულების ძალით რატიანის სტუმრებს ვერ დასჯიდა, ამისათვის რატიანს სიტყვიერად პირობა დაადებინეს, უთუოდ რაჭას გაისტუმრე მოციქულები და კვლავ არასოდეს აღარ მიიღო მაგ გვარ საქმისათვისაო. ყრილობა დაიშალა. რატიანმა დაარღვია პირობა, რაჭას მაგიერ გრიგ. წერეთლის სტუმრები ღამით გააპარა მულახის საზოგადოებაში რომელიც ძევს უშგულის დასავლეთით 25 ვერსის სიშორეზე. მულახი ერთი შეძლებულ და დიდ საზოგადოებათაგანია თავისუფალ სვანეთში. რატიანს აქ მრავალი დაახლოვებული ნაცნობ-ნათესავები ჰყავდა და იმათსა მიიყვანა თ. წერეთლის მოციქულები. როგორც მოციქულები, ისე რატიანი ცხადად ჰხედავდნენ, რომ თუ ყრილობას დაეკითხებოდნენ, სურვილს ვერ შეისრულებდნენ, რადგანაც უშგულის მაგალითი თვალ-წინ ჰქონდათ. ამისგამო რატიანი ცალ-ცალკე მოელაპარაკა თავის ნაცნობებს და ურჩია თ. გრიგოლ წერეთელთან მისვლა რაჭას მოსალაპარაკებლად.

**თავისუფალი სვანი.**

(შემდეგი იქნება)

*) ამ სტატიის თავი და ბოლო მოთავსებულია 1888 წლის გაზ. „ივერიის" ნომრებში სათაურით **„უშგულის აღწერა"** მაგრამ რაც დღევანდელ ნომერში იბეჭდება მაშინდელმა ცენზურამ არ გაუშვა.

ხელდობრ, კერძო საკუთრებისა, გადასცეს ცენტრსაო და ამით მიუახლოვეს თავიანთი ავტონომია ჩვენს თვითმართველობასაო *) ბალკანეთის ფედერაცია როგორც ცალკე სახელმწიფოთა კავშირი პროგრესის მომასწავებელია და სოციალისტ-ფედერალისტების ფედერაცია, როგორც მთელი სახელმწიფოს დამანაწილებელი რეგრესიულიაო. (ძლიერი ტაში).

უნდა იყოს ცალკე ტერიტორიული თვითმართველობანი ყველა ერებისა: ქართველებისა, სომხებისა, თათრებისა. საზღვრები ჩვენი: **ქუთაისის და თბილისის გუბერნია მთლად**, სოხუმის, ზაქათალის და ბათომის ოლქები მოსახლეობის მიხედვით და მათი სურვილისამებრ, თუმცა ცხადია, ეკონომიურად და სხვაფრივაც ყველანი ჩვენკენ მოიმართებიანო.

ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრებიც ასევე მდგომარეობაში გამოაცხადა ჩხენკელმა.

გარდა ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიებისა, უნდა იყოს აღიარებული კულტურულ-ეროვნული ავტონომიაც, რომ ყველა ერის უმცირესობაც უზრუნველყოფილი იყოს სხვა ერის უმრავლესობის ფარგლებშიო. თბილისი შედის საქართველოს ტერიტორიაში.

## საქონლის ჭირი დასავ. საქართველოში და ბრძოლა მასთან.

24, 25 და 26 მაისს ქ. ქუთაისში მოულოდნელად მოეწყო ქუთ. გუბერნიის ექიმ ბეითალთა ყრილობა, რომელზედაც განხილულ იქნა ის საშუალებანი, რომელთა გამოყენებაც შეიძლება საქონლის ჭირთან საბრძოლველად განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ საქონლის ასაცრელი შრატი ვერ მოქმედებს სასურველად ჭირიან საქონელზედ. ამ მოვლენის გარკვევაში და საერთოდ საქონლის ჭირთან ბრძოლის უკეთეს ნიადაგზე დაყენების საკითხში დიდი დახმარება გაუწია ყრილობას ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა საბეითლო ექიმმა მ. ფარცვანიძემ.

აქ მოგვყავს ის მოხსენება, რომელიც 26 მაისს მან წაიკითხა ყრილობაზე:

„ჯერ კიდევ წარსული წლის 15 დეკემბერს წავიკითხე მოხსენება ქუთ. სასოფ. სამეურნეო კრებაზე ქუთ. გუბ. საქონლის ჭირის და მასთან ბრძოლის შესახებ. საზოგადოებას მაშინვე მივუთითე ზურნაბადის*) ასაცრელ შრატის დაბალ ხარისხოვნობაზე და მის გამოუსადეგრობაზე.

მე მეგონა და მგონია კიდევაც, რომ ჩვენ საქონელს სჭირია სხვა უფრო მაღალი ტიტრის (ძალის) შრატი, ჩვენებურ საქონლისაგანვე გამომუშავებული.

კულაშის საცდელ მინდორზე კომბინაციურ მეთოდით ავცერი 15 სული საქონელი და ექსპერიმენტაულად დავამტკიცე, რომ ზურნაბადის შრატში საკმაო ტიტში (სიძლიერე) არ არის.

დიდ ჯიხაიშში, სადაც აცრის შემდეგ ასიდან 47 სული იხოცებოდა, ცოცხალ საქონლის წონის თითო ფუთზე 2 გრამი კი არ იყო საკმარისი, როგორც ეს ზურნაბადის შრატის ბოთლებზე არის ნაჩვენები, არც 10 გრამი, როგორც მე ვახმარებდი, არამედ 20 და 25 გრამი ფუთზე და მაშასადამე თითო სულ საქონელს 300—400 გრამი სჭიროდა. შედეგი სამაგალითო აღმოჩნდა. ასეთი აცრის შემდეგ არც ერთი აცრილი საქონელი არ მომკვდარა. ყოველთვის ერთი შემთხვევის გარდა მე 11—13 დღეს საქონელი რჩებოდა. ცხადია, რომ ზურნაბადის შრატი ფრიად ნაკლები სიძლიერისა იყო. ის დოზა, (300—400 რომელიც მე საჭიროდ ვაღიარე საქონლის ასაცრელად, გამოცდის შემდეგ სხვა ბეითლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს.

ამნაირად დაბრკოლება დაძლეული იყო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი იმდენი შრატისად იქნებოდა თითო სულს 400 გრამი ვახმაროთ და მეორეს მხრით დიდი დროც სჭირდება ამოდენა წამლის შესხმას, 300—400 გრ. შრატის დამზადების მთელი კვირა უნდა, რომ ერთ ხარს ამოჰხადოს საამისო იუმუნი.

ეხლა წარმოვიდგინოთ რამდენი. სული საქონელი და რამოდენა დრო იქნება საჭირო. რომ ქუთ. გუბ. და სოხუმის ოლქისათვის საჭირო შრატი დამზადდეს!?

ამას ვერც ერთი შრატის დამამუშავებელი ქარხანა ვერ შესძლებს.

ამიტომ საჭიროა მზადდებოდეს მაღალი ტიტრისე (სიძლიერის), ადგილობრივ ჯიშის საქონლისათვის შესაფერი შრატი (სხვა და სხვა ჯიშის საქონელს სხვა და სხვა სიძლიერის და ღირსების შრატი საჭიროა).

რიკი ეს ასეა და რადგანაც საქონლის ჭირი ერთობ გავრცელებულია ამიერ კავკასიაში და ალბად. იმიერ კავკასიაშიდაც რის გამოც. შრატის მოთხოვნილება ფრიად გაიზარდა, ხოლო ქუთ. გუბ. და სახ. ოლქისათვის კი განსაკუთრებული ხარისხის (ტიტრის) შრატია საჭირო, —მე საჭიროდ მიმაჩნია:

1) ჭირია საქონლის ასაცრელ შრატის დამამზადებელი ზურნაბადის სადგურის რეორგანიზაცია დაუყონებლივ მოხდეს:

2) ეხლავე დაარსდეს ქუთაისში ზურნაბადის ქარხნის ფილიალი განყოფილება ხოლო ზურნაბადის სადგურს. მოეთხოვოს ამისათვის საჭირო იარაღი და მოწყობილება, რაც ხსენებულ სადგურს ბლომადა აქვს.

ფილიალი განყოფილება სადგურისა უნ და აშენდეს საღორიის საქალაქო ტყეში.

ჩემი მოხსენების მიხედვით ქუთაისში საშრატო სადგურის დაარსების საკითხი უკვე განხილულ იქნა ქუთ. სასოფ. სამეურ. საზ. კრებაზე. წარსული წლის დეკემბრის 15-ს და ერთხმად დადებითად გადაწყდა იგი.

**მ. ფარცვანიძე.**

*) ჭირიან საქონლის ასაცრელი შრატი მზადდება განჯის (ელისავეტპოლის) გუბერნიის დაბა ზურნაბადში ამ სადგურის გარდა შრატი მთელი რუსეთში მზადდება მხოლოდ ქ. ჩიტაში (შორეული ციმბირი.)

## რა უშველის ქართველ ხალხს.

ქართველი ხალხის უმრავლესობა —მასა, თუმცა გამოფხიზლებულია, მაგრამ აღთქმის ქვეყანამდის ჯერაც ვერ მისულა. ამ ქვეყანაში ქართველი ხალხი ჩვენი ინტელიგენცია დახმარებით უნდა შევიდეს. ქართველ ინტელიგენციას კი თავის ღვიძლი ძმები აღთქმის ქვეყნისაკენ სხვადასხვა გზით მიჰყავს. დღეს დღეობით ამ სანეტარო ქვეყანაში შესავლელად ქართველ ხალხს სამი უმთავრესი გზა აქვს გაკაფული. ეს გზები ერთი ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავდებიან; განსხვავდებიან მიტომ, რომ ამ გზების გამკაფველნი ქართველი ინტელიგენციის სხვადასხვა დასს ეკუთვნიან. ყველა ეს დასები თავის მიერ გაწალდულ გზას აქებენ და ქართველ მასას ურჩევენ თუ ამ ჩემი გზით წამოხვალ ნამდვილ აღთქმის ქვეყანაში შეხვალ და მალეც მიხვალო. ამ სხვადასხვა გზამ ქართველ მასას თავბრუ დაასხა და რომელ გზაზე შესდგას ფეხი, რომ აღთქმის ქვეყნისაკენ გაეშუროს არ იცის. ამ შემთხვევაში საიმედო გზის ამოსარჩევად ყველაზე უფრო ქართველი ხალხის მასა თავის თავს უნდა დაენდოს, მაგრამ ამ საბრალომ, რა ჰქნას. რომ ამისათვის ჯეროვანი მომზადება არ აქვს და სხვისი შემყურეა. სხვისი ხელით პირში ჩადებული საჭმელი კი უგემურია. ქართველი ხალხი უნდა ეცადოს საჭმელი თავის ხელით ჩაიდვას პირში. იგი არც ისე ავადმყოფია, რომ ეს ვერ შესძლოს. დღევანდელ ჟამს ბრმად სხვისი აყოლა მას არ არგია. თუ თავის ოჯახურ საქმეებს სხვისდა დაუკითხავად მართავს რატომ ასევე არ უნდა მოიქცეს პოლიტიკურ ცხოვრებაშიდაც? ამისდა განსახორციელებლად ქართველი მასისათვის მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ჩვენში არსებულ დასებს კატეგორიული წინადადება მისცეს აღთქმის ქვეყანაში შესაყვანად ერთი საერთო გზა გამონახონ, რომელ გზაზედაც უნდა დადგეს მთელი ქართველი ერი. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ქართველი ინტელიგენციისაგან დასახული აღთქმის ქვეყანაში შესაყვანი გზები არც ერთი უნაკლულო არ არის და ალაგ ალაგ შესწორებას თხოულობს. ამათ შესწორებაში და მესვეურთა შეთანხმებაში არის ქართველი ერის ხსნა.

**მ. ბუაჩიძე.**

## ეროვნული კითხვა.

მესამე არმიის ყრილობა

მესამე არმიის ყრილობამ საჭიროდ სცნო, რუსეთის ყველა ერებს, განურჩევლად რაოდენობისა, მიენიჭოს პოლიტიკურ უფლებათა მაქსიმუმი, თავისუფლება და ეროვნულ კულტურული განვითარების გზა. ამისთვის, ყრილობის აზრით, საჭიროა მოისპოს ყოველგვარი ეროვნული დაჩაგვრა და ყველა ერს ავტონომიური თვითმართველობა მიენიჭოს. ერს უფლება უნდა ჰქონდეს საკუთარს ენაზე სწავლაგანათლების; ადგილობრივი ენა ისევე სავალდებულოა ყველა დაწესებულებათათვის, როგორც სახელმწიფო ენა.

ლატიშელთა საკითხი

ფინლიანდიის საეროზო სეიმის მისალმების შემდეგ კერენსკიმ განაცხადა: „ლატიშელთა დემოკრატია მუდამ რუსის დემოკრატიასთან ერთად მოქმედებდა. ახლა კი გზას გადაუხვია, რითაც ერთგვარი დეზორგანიზაცია შეიტანა სარევოლიუციო საქმეში. მინისტრი იმედოვნებს, რომ ლატიშთა დემოკრატია არ უღალატებს რუსეთს ამ საბედისწერო ხანაში.

## ხმა სოფლიდან.

თანამედროვე რევოლუციის პირველ ხანებში ატეხილი აურზაური, დღესაც ათასგვარ შურსა და მტრობას უმზადებს ნიადაგს ჩვენს სოფლებში. „ბატონ-ყმობის" აღსადგენ იარაღად მონათლული ტერიტორიალური ავტონომიის ხსენება დღესაც ზიზღს იწვევს მათში სამწუხაროა ავტონომიის ამგვარად გადამახინჯება, მაგრამ ამაზე უფრო სავალალო ის არის, რომ ჩვენ ერთხელ კიდევ დავამტკიცეთ ჩვენი მოუმზადებლობა და შეუგნებლობა ამ მხრით. ავტონომია-ბატონყმობა, ავტონომია —რუსეთისაგან გამოყოფა; სირცხვილი კი არის, რომ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა ვერ შევიგენით, მაგრამ ამ დანაშაულის თავიდან ასაცდენათ ჩვენც ერთგვარი საბუთი მოგვეპოება: სრულიად მოულოდნელად მოხდა ის, რაიც ბევრს დროსა და მსხვერპლს მოგვთხოვდა და ვის სჯეროდა, თუ ჩვენ ძმებს შორისაც გამოჩნდებოდენ ხალხის მოღალატენი, რომლებმაც, რაღაც მოსაზრებით, ავტონომია ბატონ-ყმობად გაასაღეს ჩვენში? და რად გაგვემტყუნება, მაშინ თუ მათ დავუჯერეთ მხარი? მაგრამ დღეს კი, როდესაც გამოვფხიზლდით ვიცანით თუ რისი გაკეთებაც ეწადათ ჩვენს „პროპაგანდისტებს" ჩვენში მიუტევებელ ცოდვათ უნდა ჩავვეთვალოს ის, რომ გვერდი ვერ ავუხვიეთ მათ სიტყვებს და ნამდვილ შვილს ერისას, რომელიც უფრო მწვავეთ განიცდის ჩაგრულ ერის ტკივილებს, არ ვუჯერებთ და კვლავ ჩვენებურად გავიძახით: „ავტონომია ბატონყმობაა, ავტონომია რუსეთისაგან ჩამოშორება"-ო. ყოველი ავტონომისტი, ვინც უნდა იყოს იგი დღეს ჩვენს მოსისხლე მტრად წარმოგვიდგენია და მზადა ვართ რა რიგ პატიოსანი და სამართლიანი პიროვნება იყოს, სრული უნდობლობა გამოვუცხადოთ მას. გვრცხვენოდეს ასეთი თავის დამცირებისა. დრო არის გავფანტოთ ნისლი უვიცობისა, რომელიც ეგრე გვიხშობს გონებას და ღრმად ჩავუკვირდეთ თუ რა უფრო ემჭირვება ჩვენისთანა დაბეჩავებულ ერს.

**იონა საჩინოელი.**

## რუსეთი.

პრემიერი ლვოვი ადგილობრივ მთავრობათა შესახებ.

პენზის გუბ. დამფუძნებელმა კრებამ—გუბერნიის კომისარად და მის ამხანაგად. აირჩია სოციალ-რევოლუციონერები სოც. რევოლუც. იქმნა აგრეთვე არჩეული კომისარიატის წევრებადაც. ამ არჩევნების გამო პრემიერმა ლვოვმა დეპეშა გაგზავნა, სადაც იგი იტყობინება, რომ არჩევნები არ იქმნება დამტკიცებული. რადგან იგი ცალ მხრივია და ეწინააღმდეგება ახალ საარჩევნო კანონს.

საიდუმლოდ გაგზავნილ იარაღის დაჭერა.

დონის როსტოვში კავკავის რკინის გზაზე დააკავეს იარაღით გატენილი ბევრი დიდრონი ყუთები, რომელსაც კავკასიაში გზავნიდნენ.

სიკვდილით დასჯა.

ტამბოვის გუბერნიაში გლეხებმა დაიჭირეს მავნე პირი და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობა.

სრულიად რუსეთის გლეხთა ყრილობაზე მოვიდა ლენინი. გლეხობა უკიდურესად აღელვებული იყო მეუმრავლესე სოც. დემ. მოქმედებით და ამიტომ ლენინს საპატიო სიტყვის თქმის უფლება არ მისცა, რის გამოც ლენინმა ყრილობა მიატოვა. გლეხთა ყრილობამ მიწის კითხვის გადაჭრის შესახებ დაადგინა, რომ დაუცადოს დამფუძნებელ კრებას.

პროვოკატორების გასამართლება

მოსკოვში დაარსდა უპარტიო სასამართლო, რომელიც გამოიძიებს პროვოკატორთა საქმეებს.

ლოკაუტების წინააღმდეგ

საზოგადო ორგანიზაციათი აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა შექმნას განსაკუთრებული სექცია, რომელიც ებრძოლება მექარხნეთა ლოკაუტებს.

ყოფილ მინისტრ მაკლაკოვის ქაღალდები.

ყველა ის ქაღალდები, რომელიც მაკლაკოვის ბინის გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს პეტროგრადს გაიგზავნა დროებ. მთავრობის გადასაცემად. მაკლაკოვის ხელთნაწერებში ბევრი საყურადღებო მასალა აღმოჩენილა. სხვათა შორის არის წერილი უკანასკნელ სახ. სათათბიროს არჩევნების შესახებ.

ავსტრიის პარლამენტიორების დატუსაღება

ამას წინად ოდესაში მოვიდნენ და პეტროგრადს გაემგზავრენ ავსტრიის პარლამენტიორები. ახლა როგორც ოფიციალად იუწყებიან პარლამენტიორები გზაში დაუტუსაღებიათ და სამხედრო ტყვეებად გამოუცხადებიათ. ამის შესახებ გაზ. "უტრო როს. სწერ'': პარლამენტიორების მოსვლის ამბავი რუსეთში არავინ არ იცოდა, გარეშე საქმეთა სამინისტრომ ყველაფერი გაზეთებიდან გაიგო. ჩვენ არ ვიცით, ვის უხარიან გამოგზავნილი პარლამენტიორები და ამიტომ მათთან მოლაპარაკების დაწყება შეუძლებლად მივაჩნია. დატუსაღებული პარლამენტიორები პროტესტს აცხადებენ და ამბობენ, რომ მათ მინდობილი ჰქონდათ მოლაპარაკება გაემართად რუსეთის ლაშქრის სარდლებთან.

ექს მეფე ნიკოლოზი კრონშტატში

მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს სექციამ მეუმრავლესე სოც. დემ. მოთხოვნის თანახმად ყოფილი მეფე ნიკოლოზ რომანოვი ოჯახობით კრონშტატში გაგზავნა საცხოვრებლად.

მაკლაკოვი ელჩად

კადეტთა პარტიის ცენტრალმა კომიტეტმა სასურველად სცნო რუსეთის ელჩად პარიზში დაინიშნოს სახ. სათათბიროს წევრი მაკლაკოვი.

წითელი ჯვრისა და ქალაქთა კავშირის თხოვნა.

სამხედრო მინისტრმა ალ. კერენსკიმ განკარგულება გამოსცა, რათა წითელი ჯვრისა და ქალაქთა კავშირების ყველა მოსამსახურენი რომელთაც კი სამხედრო ბეგარა ეხებათ დაუყონებლივ ჯარში იქმნენ გაგზავნილნი. ამის გამო წით. ჯვრისა ქალაქთა კავშირის სამმართველოები სთხოვენ სამხედრო სამინისტროს, რომ შეჩერებული იქმნას გაწვევა, რადგან ამით მოსალოდნელია ხსენებულ დაწესებულებებში საქმის შეფერხება.

ჟურნალისტების გაჩხრეკა და დაპატიმრება.

როგორც ამასწინად ვსწერდით, პეტროგრადში გაჩხრიკეს და დააპატიმრეს ცნობილი ჟურნალისტი ბაიანი (კოლიშკო) ახლა კიდევ დაუპატიმრებიათ ჟურნალისტები: მანუსა, გოლდშტეინი, და კოტეევიჩი.

200 ქალი ბრძოლის ასპარეზზე.

პეტრეს ქალაქში შესდგა ქალთა კრება. სადაც 200 ქალი ფრონტზე წასასვლელად ჩაეწერა. ქალები მეომრის მოვალეობას შეასრულებენ.

აგიტატორის მოკვლა

პეტრეს ქალაქის სახალხო თეატრში უცნობი პირი ჯარს მოუწოდებდა. რომ ჩქარა იარაღი დაეყარა და ბრძოლის ველი მიეტოვებია. ჯარისკაცმა აგიტატორს თოფი ესროლა და მოჰკლა.

ყრილობა.

28 მაისს პეტრეს ქალაქში დაიწყო პრაპორშჩიკების სკოლის და სამხედრო სასწავლებელთა მოსწავლების ყრილობა.

მთავარსარდლის გადაყენება.

სამხედრო მანაკიდან [illegible] პეტრეს ქალაქში ჩამოვიდა მთავარსარდალი ნ. ალექსეევი, საღამოს გაზეთების ცნობით ალექსეევი თანამდებობიდან გადადგა. მიზეზად ასახელებენ სოც. პრესის ალექსეევის წინააღმდეგ გალაშქრებას.

[illegible] მოადგილე

ვაჟრობა მრეწველობის მინისტრად გა[illegible] [illegible] ასახელებენ.

კერენსკის მეუღლე მოწყალებისდათ მიდის

სამხედრო მინისტრის კერენსკის მეუღლე ბრძოლის ველზე წავიდა მოწყალებას როლის ასასრულებლად.

## სპორტი და სანახაობანი.

ძმ. ეფიმოვების ცირკი. ქალთა საერთაშორისო ჩემპიონატის მე 10 დღ. 30 მაისი. 1 წყვილში ჰიდაობდენ ქ-ბნ ანათემა და ქ-ბნი სულეიმანი. ორივე მოწინააღმდეგე თანაბარი ტეხნიკისა და ღონის მქონე აღმოჩნდა. მაგრამ გამარჯვება მაინც ქ-ბნ სულეიმანს დარჩა. მე-3 წ. ორმავი ნელსონით. ფრიად საინტერესო იყო მოჭიდავეთა მე 2 წყვილი. წითელ ნიღაბოსანი კაცი ქ-ბნ იანკოვსკაიას წინააღმდეგ გამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ წითელ ნიღაბოსანს მდიდარი ტეხნიკა აქვს და ღონიერი, გამოცდილი მოჭიდავეა, ქ-ბნ იანკოვსკაიამ ბევრჯერ გაუჭირა საქმე მოწინააღმდეგეს, რადგანაც მუდამ ქალი უფრო ხშირად სძლევდა ნიღაბოსანს, ყველას ეგონა რომ იანკოვსკაია გაიმარჯვებდა, მაგრამ მოულოდნელად ნიღაბოსანმა ტურდეტეტზე დაიჭირა. ამ ფანდს ვერ დააღწია თავი იანკოვსკაიამ და 13 წამის ჭიდაობის შემდეგ წაქცეულ იქნა. საჭიროა მოხდეს რევანში ამ მოჭიდავეთა შორის. მე 3 წყვილში ქ-ბნმა აზელკროკმა 4 წამში წააქცია ქ-ბნი რობოსტონი.

**ზ.**

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ზ. კვირკელია.**

## ექიმები:

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") დილით 12½—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. | — „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

# „განათლება"

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია